ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

6 ივნისი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 104 (10516) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პრეზიდენტი გყავთ? მაშინ უფლება გაქვთ იასპარეზოთ თქვენი ქვეყნის სახელით

იტალიაში სწორედ ეს გახდა გადამწყვეტი, რომ ქართველ ჩოგბურთელებს დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ეასპარეზათ

ამ ტურნირის წინაისტორია ასეთია: მაისის დასაწყისში საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ ტელექსი მიიღო იტალიიდან — საბჭოთა კავშირის გუნდს იწვევდნენ პირველი კატეგორიის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც 14 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთათვის ტარდება. საკავშირო ფედერაციაში სწორედ იმ დღეებში შეიარა სპორტსაზოგადოება „შევარდენის" უფროსმა მწვრთნელმა გიორგი ღარიბაშვილმა. გიორგის ტელექსი გადასცეს და სთხოვეს — თქვენ ნიჭიერი მოზარდები გყავთ, გუნდიც საქართველოს ჩოგბურთელებით შეადგინეთ და შეჯიბრებაზე საბჭოთა კავშირის სახელით გამოდითო. არადა, მოგეხსენებათ, საქართველოს სპორტმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა „ცენტრთან" და მიუხედავად ამისა, მაინც შესთავაზეს ასეთი წინადადება, რასაც, ცხადია, ჩვენგან არავინ დათანხმდებოდა. მაგრამ დაიბადა სხვა აზრი, — საქართველოს დელ' კაციას მოეთხოვა ტურნირში საკუთარი სახელით ასპარეზობა და ორგანიზატორებს ამის თაობაზე ტელექსიც გაეგზავნათ. თანხმობა მოვიდა. შემდეგ საქართველოს სპორტის მუშაკებისგან სომხებმაც შეიტყვეს ამ მოწვევის ამბავი და მათაც გაგზავნეს ტელექსი — ტურნირზე ისინიც მიიწვიეს.

ახლა სიტყვას გადავცემთ იტალიაში საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს, „შევარდენის" სპორტკლუბის დირექტორის მოადგილეს ტრისტან გელაშვილს:

— როგორც კი ტელექსზე დადებითი პასუხი მივიღეთ, უმალვე დავიწყეთ ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. ჩვენს სპორტსაზოგადოებაში არიან ძლიერი მოზარდები და შევძლო საკუთარი გუნდით გამგზავრება, მაგრამ, რაკი საქმე რესპუბლიკის პრესტიჟს და დამოუკიდებლად დიდ ტურნირში ჩვენს პირველ მონაწილეობას ეხებოდა, გადაწყდა გუნდის გაძლიერება. ერთი მონაწილე „დინამოდან" შევარჩიეთ, მაგრამ ამ საზოგადოებამ ლევან გელაშვილის დაფინანსება ვერ მოახერხა. გამოჩნდა სპონსორი — „სოფლსაბინკომუნალმეურნეობის" უფროსი გურამ აბაშიძე. გუნდის ორი წევრისათვის თანხა კი „შევარდენმა" გაიღო.

● **ლევან გელაშვილის გარდა, ვინ შედიოდა გუნდში?**

— ნინო ლუარსაბიშვილი და სოფიკო მანაგაძე. მწვრთნელი იყო გიორგი ღარიბაშვილი.

● **უცხოეთში ხარჯები ორგანიზატორებმა გაიღეს?**

— დიახ.

● **რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა ტურნირში?**

— თორმეტი: იტალია, შვეიცარია, გერმანია, იუგოსლავია, ისრაელი, მადაგასკარი, შვეცია, ჰოლანდია, ბელგია, ინგლისი (მწვრთნელად ახლდა ოლგა მოროზო-

იხ. მე-4 გვ.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ლევან გელაშვილი

ნინო ლუარსაბიშვილი

სოფიკო მანაგაძე

აი, სტიმული

მე სპორტული ოჯახიდან ვარ — მამაჩემმა ვახტანგ სალუქვაძემ სპორტს დაუკავშირა თავისი ცხოვრება: ტყვიის სროლაში საქართველოს ნაკრების უცვლელი წევრი იყო და, ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტა, მეც გზის გამგრძელებლად გავეზარდე. მამამ მასწავლა და დამოსტატა პისტოლეტის სროლაში. მაგრამ მას, ვეტერან სპორტსმენს, არასოდეს ულხინდა, მაშინ ისე არავინ აფასებდა მისნაირების თავდადებას, როგორც იმსახურებდნენ. მე, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონს, პირველად ნაკლები წახალისება მეძლეოდა, ვიდრე ჩემს უცხოელ კოლეგებს.

ალბათ, ყოველივე ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ასე ინტერესით წავიკითხე 4 ივნისის „ლელოში" დასტამბული საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დადგენილება ოლიმპიელ პრიზიორთა შრომის დასაფასებლად. იქნებ ეს საპენსიო თუ ერთდროული დახმარების თანხა ახლანდელ ეკონომიკურ პირობებში დიდი არაფერია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ოლიმპიურმა კომიტეტმა პირველმა გაიხსენა ის ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე დიდი წვლილი შეიტანეს ოლიმპიადებზე ჩვენი სპორტის წარმოჩენაში.

ოლიმპიური კომიტეტის ამ დადგენილებამ ჩვენ, ახალგაზრდებს, მეტი შემართებით ასპარეზობის სტიმული მოგვცა.

ნინო სალუქვაძე.
სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი, ფიზკულტურის ინსტიტუტის ასპირანტი.

* * *

სპონსორები ფულს არ ზოგავენ

● **გერმანული** კონცერნი „დეიმლერ-ბენცი", ლიდერობს იმ მრავალრიცხოვან კომპანიებს შორის, რომლებსაც სავარაუდოდ ბერლინში 2000 წლისათვის გათვალისწინებული ოლიმპიადის ჩატარების სპონსორობა სურთ. „დეიმლერ-ბენცმა" გამართა ვახშამი, რომელსაც ესწრებოდა სოკ-ის პრეზიდენტი ხ. სამარანჩი. კონცერნის ხელმძღვანელები დაპირდნენ სამარანჩს, რომ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ ლოზანაში სოკ-ის ახალი მუზეუმის შექმნის საქმეში. შესანიშნავი სვლაა პრეზიდენტის გულის მოსაგებად.

● **აშშ-ის** კორპორაცია „სენშუ", რომელიც ცნობილია ოლიმპიური სპორტული პროდუქციის წარმოებით, ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპონსორია. ახლა ამ კორპორაციამ 9 მილიონი დოლარი გამოუყო ოლიმპიურ კომიტეტს.

● **ფირმა** „მაკდონალდსმა" გადაწყვიტა დააფინანსოს აშშ-ის ოლიმპიური ნაკრები გუნდი 1992 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის უკეთ მოსამზადებლად. ეს ფირმა დიდი ხანია შემოსავლიდან სოლიდურ თანხას ხარჯავს ამერიკაში სამოყვარულო სპორტის განსავითარებლად და ნიჭიერ მოზარდ სპორტსმენთა დასაოსტატებლად.

* * *

რღვევა

საბჭოთა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დასასრული და... დასაწყისი?

1951 წლიდან მოყოლებული, როცა საბჭოთა კავშირი ოფიციალურად ჩაერთო საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში, ეს ორგანიზაცია საბჭოთა სახელმწიფოს სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი იყო და მორჩილად ემსახურებოდა იმპერიის იდეოლოგიას. ცხადია, ამით უხეშად ირღვეოდა ოლიმპიზმის იდეები, ქარტიის მოთხოვნები, მაგრამ გამკითხავი არავინ იყო, იმპერიის შიშით სდუმდა მსოფლიო, პირველ ყოვლისა კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. საოცარია, საბჭოთა ოლიმპიურ კომიტეტს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ერქვა.

რომელ ერს წარმოადგენს საბჭოთა ეოკ-ი, რატომ იწოდება იგი ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტად? საქართველოსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენლები ამ შეკითხვით გამუდმებით მიმართავდნენ ხოლმე კომიტეტის ხელმძღვანელობას სხვადასხვა თავყრილობებზე, მაგრამ კითხვა უპასუხოდ რჩებოდა ან რა უნდა ეპასუხათ? იმ პერიოდის არაერთ ოქმშია ჩვენი და ბალტიისპირელთა კატეგორიული მოთხოვნა დაფიქსირებული, რომ საბჭოთა ეოკ-ს ჩამოშორებოდა სიტყვა ეროვნული.

ჩამოშორდა!

ამ დღეებში, უკვე სახელმწიფო სტრუქტურებს გამოყოფილი საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტი იუსტიციის სამინისტრომ გაატარა რეგისტრაციაში, როგორც ოლიმპიური კომიტეტი (ოკ).

ჩვენ მუდამ წინ ვუსწრებთ მოვლენებს. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იმთავითვე სწორ გზას დაადგა — იგი მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უზენაესობას აღიარებს. ჩვენგან განსხვავებით, თითქმის ორი წლის დაგვიანებით, ახლა იმავე გზას დაადგა საბჭოთა ოლიმპიური მოძრაობა. მაგრამ დაადგა კი? ვითომ განთავისუფლდა იმპერიული ამბიციებისგან?

ბობოლები ჩრდილში არიან

რომი. „ჯირო დ' იტალიის" მერვე და მეცხრე ეტაპებზე ლიდერთა ჯგუფში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. რბოლას კვლავ იტალიელი ფრანკო კიოჩოლი ლიდერობს, ხუთეულში კი ორი მისი თანამემამულეა, მათ შორის, შარშანდელი № 1 პროფესიონალი ველოსიპედისტი ჯანი ბუნიო.

მერვე ეტაპი (ჩიტა დი კასტელოპრატო, 163 კილომეტრი), ერთ-ერთი ფავორიტისთვის, ამერიკელი გრეგ ლემონდისთვის საბედისწერო გამოდგა. ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე, მას ველოსიპედი დაუზიანდა და სანამ გამოცვალა, ძირითადი ჯგუფი საკმარისად დაწინაურდა. საბოლოოდ ლემონდი ლიდერთან 4 წუთს აგებს. ამ სხვაობის ლიკვიდაცია, ცხადია, ძნელი იქნება. სამივე პირველი ადგილი ეტაპზე იტალიელებმა მოიპოვეს: დევიდ კასინიმ, მარიო მარტოვანიმ და ფაბიან ფონტანელიმ.

არც მეცხრე ეტაპზე გამოუჩენიათ თავი ფავორიტებს. პრატო-ფელინოს 229-კილომეტრიან დისტანციაზე უძლიერესი კვლავ ნაკლებად ცნობილი იტალიელი მასიმო ჯიროტო იყო — 6:09.13. აქ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი — ფავორიტები ერთმანეთის „მეურვეობით" არიან დაკავებულნი და ყურადღებას არ აქცევენ „აუტსაიდერებს". ამიტომაცაა, რომ ჯერჯერობით ყველა ფინიშზე ნაკლებად ცნობილმა ველოსიპედისტებმა ივარგეს.

* * *

მოფარიკავეები გზას იკაფავენ

ჰააგაში ჩატარდა დაშნით მოფარიკავე ქალთა მეორე საერთაშორისო ტურნირი, რომლის თაოსანი გახლდათ ჰოლანდიის ეროვნული ფედერაცია. სწორედ ამ ფედერაციის პერსონალური მიწვევით გაემგზავრა შეჯიბრებაზე საქართველოს ოთხი სპორტსმენი, რომელთაც 124 მონაწილეს შორის ურიგოდ როდი უასპარეზიათ, თუმცაღა, საპრიზო ადგილი არ დაუკავებიათ. ამ ტურნირზე საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობდა მოსკოვის „დინამო", რომელიც, ფაქტობრივად, ალმაათელი, კიეველი, ტალინელი და მოსკოველი მოფარიკავეებით იყო დაკომპლექტებული და ჩემპიონთა თასის გათამაშებაშიც ჩაება. ამგვარი შეჯიბრება ჰოლანდიაში გაისადაც მოეწყობა და საქართველო კვლავ დამოუკიდებელი გუნდით გამოვა. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ სპორტსაზოგადოება „შევარდენის" მოფარიკავეებსა და მათ მხლებლებს ჰოლანდიის გამგზავრებაში დიდად დაეხმარა სპონსორი — საქართველოს პურ-პროდუქტების კომბინატი.

ჩვენი მოფარიკავეების სახელოვანი მრავალწლიანი ისტორიული გზის შედეგია ისიც, რომ ქართველ არბიტრებს მსოფლიო ჩემპიონატებზე, დიდ ტურნირებზე პერსონალურად იწვევენ. უმაღლესი, „ა" კატეგორიის მსაჯი მორის სხვაძე ჰოლანდიაში წასვლამდე იტალიის ქალაქ ფოჯაში 17 წლამდე ასაკის მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო არბიტრად მიიჩნიეს. მან ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ფრანგ როლან ბუატელის, რომელიც კარგად იცნობს ქართულ საფარიკაო სკოლას (იგი თბილისშია ნამყოფი), სწორედ ფოჯაში გადასცა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის დეპარტამენტისა და ფარიკაობის რესპუბლიკური ფედერაციის ერთობლივი თხოვნა საერთაშორისო ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის ფედერაციის გაწევრიანების თაობაზე.

პასუხი? — თანხმობა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისთანავე. მანამდე კი... კვლავ ბრძოლა და კავშირების განმტკიცებაა საჭირო.

მორისი უნგრეთის ეროვნულმა ფედერაციამ სამსაჯოდ მიიწვია მოზრდილთა მსოფლიო ჩემპიონატზეც, რომელსაც სულ მალე, 12-23 ივნისს, უმასპინძლებს ბუდაპეშტი.

ამგვარი კონტაქტები, ცხადია, სასიკეთოდ წაადგება იმ დიდ საქმეს, რომელსაც საქართველოს სპორტის საერთაშორისო აღიარება — ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატებში, საერთაშორისო ტურნირებში დამოუკიდებლად, ეროვნული დროშითა და ჰიმნით გამოსვლა ჰქვია და, რომლის დროს მოპოვებული მედლები მხოლოდ საქართველოს სპორტს შეემატება.

ოთარ გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი დავანგრიეთ, სხვამ მოითბო ხელი

დოღი დიდუბის იპოდრომზე

ქართული ცხენთგამოცდის ისტორიასთან დაკავშირებით „ლელოში" გამოქვეყნებულ წერილებში მრავალჯერ შევხებივართ მუხროვანის ცხენსაშენს. ქართული მეცხენეობის ამ აღიარებულ კერას იცნობდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სოფელი მუხროვანი გარეკახეთის ზეგანზე, საგარეჯოს რაიონში მდებარეობს. გასული საუკუნის შუა ხანებში აქ დაბანაკებულ იუნკერთა პოლკში უმსახურია ახალგაზრდა ლევ ტოლსტოის...

ცხენსაშენის ჩამოყალიბება 1924 წლიდანაა საგულვებელი. მისი საფუძველი გახლდათ ჩვენი ეროვნული ცხენოსნური ტრადიციები. მუხროვანი წმინდა სისხლის ინგლისური ბედაურების მოშენებით გახდა ცნობილი.

უდავოა, ამ ცხენსაშენს უნდა შემოეკრიბა ზოოტექნიკოს-სელექციონერთა კადრები, აქ უნდა შეერჩიათ ულაყ-მწარმოებლები, მწვრთნელები, მხედრები, ცხენსაშენის ამოქმედების პირველ პერიოდზე (1924-1925 წ. წ.) კონკრეტული მასალების უქონლობის გამო ვერაფერს ვიტყვით, შემდგომი წლების საქმიანობა კი შედარებით ნათელია.

იმდროინდელ პრესაში (1924 წლის) ასეთ ცნობას წავაწყდით: კვირას, 25 მაისს, დიდუბის იპოდრომზე უნდა გაიმართოს დოღი და რბოლა ქალაქ გორის აღდგენის ფონდის გასაძლიერებლად.

მუხროვანის ცხენსაშენის ძველი ულაყ-მწარმოებლებიდან ცნობილია მეფის რუსეთში გერმანიიდან ჩამოყვანილი უაიტ-სტარი და ზემბო. 1927 წლის სეზონის საუკეთესო ბედაურად აღიარებული იყო ბერგენი (ბეკისა და გლენროდისაგან). იგი საქართველოს საჯინიბომ მოსკოვში შეიძინა. მასთან ერთად მუხროვანისათვის მოსკოვში იყიდეს დივნიც, დაგომეც და ტაისიც.

1927 წელს თბილისში დოღის საგაზაფხულო სეზონის დამთავრების შემდეგ, ამ ბედაურებს ბაქოში გამართულ დოღებშიც მიუღიათ მონაწილეობა.

1928 წლის დერბის (მანძილი 2400 მეტრი) მონაწილეა მუხროვანის ცხენსაშენის საუკეთესო ბედაური — უაიტ სტარის შვილი დარდიმანდი.

1931 წლის საქართველოს დიდი პრიზის (დერბის) მფლობელია ლაჟვარდიც (მამა — უაიტ სტარი, დედა — ლეილა). მასზე ამხედრებულმა ტ. ჩაბანმა დისტანცია 2 წუთსა და 48 წამში დაფარა.

1932 წელს საქართველოს დიდ დერბიში იმარჯვა გუდოკმა, მომდევნო წელს კი იადონმა. ამ ბედაურებით ასპარეზობდა ქართული დოღის დიდი ოსტატი ალექსანდრე ხაინდრავა.

მუხროვანის ცხენსაშენში გამოზრდილი ერეთით (1932 წელს) და კრისტალით (1935) მხედარმა ტ. ჩაბანმა დიდუბის იპოდრომზე ზედიზედ მოიგო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელობის პრიზები.

საგულისხმოა ისიც, რომ 1929 წლის სეზონში საუკეთესოდ იასპარეზეს მუხროვანის ცხენსაშენის ორწლიანებმა: ნათელამ, პარტახმა და მრავალმა სხვამ.

ოცდაათიან წლებში ქართული ცხენსაშენი მაღალი შედეგიანობით გამოირჩეოდა და კარგა ხანს არ დაუთმია პოზიცია, რასაც დიდად უწყობდნენ ხელს ახალი ულაყ-მწარმოებლები. ცხენსაშენში ჰყავდათ იაროსლავლიდან ჩამოყვანილი საუკეთესო წმინდა სისხლის ბედაური გეტმან-ნეი — 1927 წლის საკავშირო დიდი პრიზის (დერბის) მფლობელი, აგრეთვე საკავშირო მნიშვნელობის ულაყ-მწარმოებელი, შესანიშნავი ტაგორი, რომელმაც რამდენიმე დერბისტი მისცა საბჭოთა კავშირს. ტაგორი იდგა ჩესმენის ცხენსაშენში. აი, ამ ტაგორისგან გახლდათ მიღებული 1932 წელს დაბადებული უნაკლო ექსტერიერის მქონე ბედაური ნორიო... დასანანია, რომ ნორიო ადრე დაიღუპა.

1938 წელს ძერჟინსკის № 60 ცხენსაშენიდან (უკრაინა) მუხროვანს გადაეცა 4 წლის ულაყ-მწარმოებელი ტარზანი. იგი შთამომავლობით საკავშირო დერბის მფლობელის ბრიმსტონის ხაზისა გახლდათ.

საუკეთესო პროდუქტიულობით ხასიათდებიან მუხროვანის ულაყ-მწარმოებლები — სალვატორი, დარლინგტონი, გაიოზი. ეს უკანასკნელი 1939 წლის აგვისტოში მოსკოვში გათამაშებული დიდი საკავშირო პრიზის (დერბის) მონაწილე იყო.

1933 წელს 3 წლის კრისტალმა (მხედარი ტ. ჩაბანი) 2200 მეტრზე დოღში დაიმსახურა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელობის პრიზი. კრისტალი ზემოდასახელებული სალვატორის ნაშიერია.

ცხენსაშენის სიამაყე იყო 3 წლის ულაყი როზიტა. მან მოსკოვის დიდი პრიზის გათამაშებაში (დერბი) მიიღო მონაწილეობა და გამარჯვების ერთ-ერთი პრეტენდენტი გახლდათ. სამწუხაროდ, სტარტის შემდეგ ბედაური სარბენი წრიდან გამოვარდა და მოიხსნა ასპარეზობიდან. 1932 წელს კი 2 წლის როზიტამ მოსკოვში ორწლიანებისთვის განკუთვნილი პრიზი მოიპოვა. როზიტა (მხედარი ანდრეი ბარკოვსკი) ტაგორისაგან იყო მიღებული.

ოცდაათიან წლებში გეტმან-ნეისთან ერთად საუკეთესო ულაყ-მწარმოებელია თურქესტანი.

თურქესტანს 1929 წლის 19 მაისს დიდუბის იპოდრომზე დაუმსახურებია მეცხენეობის კოოპერაციის 500-მანეთიანი ჯილდო 2000 მეტრ დისტანციაზე. ამ დროს მისი ერთ-ერთი მთავარი მეტოქე გახლდათ ბერგენი. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე, აზერბაიჯანის გამიდი და ჯიშნარევი დურმიშხანი. ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა თურქესტანმა.

იგი წლების განმავლობაში ითვლებოდა კარგი, ელიტური მონაცემების მქონე ბედაურად. თურქესტანისაგან გახლდათ მიღებული დილომი, ლახტი და საუკეთესო ბედაური ფშაველი.

აღსანიშნავია ფშაველის მიერ 1934 წლის 6 ივნისს მოპოვებული ორწლიანი ცხენებისათვის დანიშნული დიდი ჯილდო 1200 მეტრ მანძილზე. ფშაველის მეტოქენი იყვნენ ვოროშილოვის ცხენსაშენის (უკრაინა) ფორელი, ყარაყალის ცხენსაშენის თაუზ-ულდა და ჩესტავრი, მუხროვანის ცხენსაშენის ავი. ფშაველის მხედარი გახლდათ ალექსანდრე ხაინდრავა, მწვრთნელი — კონსტანტინე ავალიშვილი. გეტმან-ნეისა და ლუზიტანიისაგან მიიღეს 1934 წლის საქართველოს დერბისტი ლაგოდეხი.

მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მეცხენეობის მუზეუმში ბევრი საყურადღებო მასალაა დაცული მუხროვანის ცხენსაშენზე. გაგაცნობთ რამდენიმე მათგანს:

1933 წლის 27 ივლისს ორწლიანი დილომით 1500 მეტრზე დოღში მიუღია მონაწილეობა მხედარ ალექსანდრე ხაინდრავას. მას დაუკავებია მეორე ადგილი, პირველზე კი დიადემა გასულა.

იმავე წლის 30 ივლისს ორწლიანი დომით (გეტმან-ნეი — დაგომე) 1500 მეტრზე გაიმარჯვა მხედარმა ანდრეი ბარკოვსკიმ.

1933 წლის აგვისტოში დილომით (თურქესტანი — დარეჯანი) ა. ხაინდრავას 1200 მეტრი დისტანცია დაუფარავს 1 წუთსა და 18,2 წამში. მეორე ამ დოღში ყოფილა ტ. ჩაბანი.

უფრო ადრე, 30 ივლისს, ბარკოვსკის 3-წლიანი ტერეზით (გეტმან-ნეი-ტაისი) 2000-მეტრიანი დისტანციის ფინიში პირველს გადაუკვეთავს.

1934 წლის 24 ივლისს ეშმაკზე (თურქესტანი-ეთერი) ანდრეი ბარკოვსკიმ 1500-მეტრიანი დისტანციის გავლას 1 წუთი და 44,4 წამი მოანდომა.

ამავე წელს, 6 აგვისტოს, მე-10 დოღში 1600 მეტრზე ორწლიანი ბუმბერაზით (ტაგორი-ბები) ტ. ჩაბანმა გაიმარჯვა.

იმავე დღეს მე-14 დოღში ტ. ჩაბანმა სამწლიანი აბორიგენით (საგაიტაკ-აბა) მოიგო დოღი 2000 მეტრ მანძილზე.

ეს მასალები ფასდაუდებელი განძია მისთვის, ვინც კი დაინტერესდება ქართული ცხენოსნობითა და ცხენთგამოცდის ისტორიით.

მუხროვანის ცხენსაშენის სიამაყე იყო ბაღდადი (გეტმან-ნეისა და ბრასის შვილი). იგი დაიბადა 1933 წელს. 1936 წელს გახლდათ დიდი საკავშირო პრიზის (დერბის) მონაწილე, სადაც მან მეორე ადგილი დაიკავა. ეს ცხენი ექსტერიერით უნაკლო იყო. 2 წლის ასაკში საუკეთესო დრო აჩვენა 1200 მეტრზე — 1.19, 1500 მეტრზე — 1.39,4, 2000 მეტრზე კი ბაღდადის დროა 2.09,4.

მუხროვანის საუკეთესო ბედაურად ითვლებოდა შავგული, რომელმაც 1938 წლის 4 მაისს, სეზონის გახსნის ჯილდოზე (2400 მეტრი), პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი (მხედარი ა. ბარკოვსკი).

აზოვანი, ავთანდილი, ელიზბარი, ელისო, თეთნულდი, სატევარი, რაგინდა, პეპელა, გურია და მრავალი სხვა, აი, არასრული სია მუხროვანის ცხენსაშენში გამოზრდილი ბედაურებისა.

ძირითად ულაყ-მწარმოებლებიდან ჩვენ ვახსენეთ ტაგორი, გეტმან-ნეი, თურქესტანი, გუდოკი, სალვასტორი, უძველეს ულაყ-მწარმოებელთაგან — ბერგენი და ზემბო. მუხროვანში მუშაობდნენ ცნობილი მწვრთნელები: ლეონიდ როსიაკი, სტანისლავ კაზმერჩაკი, ქართველთაგან — საკმაოდ ცნობილი კონსტანტინე ავალიშვილი.

1952 წელს მუხროვანის ცხენსაშენი ყოვლად უმიზეზოდ დაშალეს. ქართული ცხენსაშენიდან ბედაურები გადაიყვანეს „ვოსხოდში" და სწორედ ამ ცხენთა ბაზაზე „ვოსხოდმა" დაიწყო ომისშემდგომი აღორძინება, საკუთარი დავანგრიეთ, სხვამ კი ხელი მოითბო. ახლა, გულით რომ გვინდოდეს, ამნაირი ცხენსაშენის აღორძინება-აღდგენას სადღა შევძლებთ.

თამაზ ქიქავა

ავტორის ფოტოები.

გეტმან-ნეი

ნორიო

გუდოკი

ტერეზი

* * *

ათლეტიზმი

აღიარების უმოკლესი გზა—მაღალი ოსტატობა

ივანე ამონაშვილი, მამუკა შენგელია, დავით ბექანიშვილი, სოლომონ ჩეკურიშვილი, ალექსანდრე აბულაძე, მამუკა მიქაძე, შოთა ბექაშვილი — ამ სახელებს კარგად იცნობენ ათლეტიზმის, კერძოდ, ძალისმიერი სამჭიდის მოყვარულები. ეს რჩეული შვიდეული და კიდევ ერთი ათლეტი ქალი, 18 წლის ეკა ხიზანიშვილი, მონაწილეობდნენ ამას წინათ ბერდიანსკში (უკრაინის ქალაქი) გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

შოთა ბექაშვილი

თერთმეტ წონით კატეგორიაში 13 ოქროს, 11 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი — ასეთია ჩვენი ათლეტების მონაგარი. შენგელიამ (აგრარული უნივერსიტეტი), მერაბიშვილმა, ბექაშვილმა (ორივე — სიღნაღი, „ამირანი") და ბექანიშვილმა (თელავი) ოქროს მედლები მოიპოვეს. შოთა ბექაშვილმა აბსოლუტური შედეგი აჩვენა სამჭიდში — 915 კგ, კლასიკურ წოლჭიმში კი 13 კგ-ით გადააჭარბა ევროპის რეკორდს. ეკა ხიზანიშვილს მეორე ადგილი და ცალკეულ მოძრაობებში ოთხი მედალი ხვდა წილად. გუნდს ხელმძღვანელობდა ვაჟა კურკუმელი, მთავარი მწვრთნელია ზურაბ ჭავჭანიძე. ტურნირში ქართველმა ათლეტებმა უკან ჩამოიტოვეს მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ყაზახეთის, ბელორუსიისა და სხვა ნაკრები გუნდები და მთავარი პრიზი — „აზოვის ზღვის თასი" საქართველოში ჩამოიტანეს.

სპეციალისტები თვლიან, რომ ქართველ ათლეტებს დღეს მსოფლიოში მხოლოდ ამერიკელი და ფინელი პროფესიონალები თუ გაუწევენ ღირსეულ მეტოქეობას. როდის შეხვდებიან ისინი ერთმანეთს? — წელსვე, დეკემბერში კოხტლაიარვეში დაგეგმილ ევროპის ყველაზე სოლიდურ ტურნირში — „დიდი დათვის პრიზზე". აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირში, მიუხედავად იმისა, გაწევრიანდება თუ არა საქართველო საერთაშორისო ფედერაციაში, ჩვენი ათლეტები იბრძოლებენ.

მარინა ბაბილაია,

ავტორის ფოტოები.

საქართველოს ათლეტთა გუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

XV ტური

„სანავარდო“ (სამტრედია) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 0:1. (0:0).

სამტრედია. ე. მანჯგალაძის სახელობის სტადიონი. 3 ივნისი.

„სანავარდო“: თოდაძე, კოხრეიძე, ვაშაკიძე, გეგეშიძე, დავით თვალაბეიშვილი, ლორთქიფანიძე, რუხაძე, ნოზაძე, ტონია, დურმიშხან თვალაბეიშვილი, ბრეგვაძე.

„ქუთაისი“: მ. თევზაძე, გ. თევზაძე, წიქარიშვილი, ბზიკაძე, შავგულიძე, ნადირაძე, სუხიაშვილი, ხუნდაძე, ჯანაშია, დარასელია, ფაიქიძე (მაღლაკელიძე).

მსაჯები: ჯ. წერეთელი (რუსთავი), დ. თოდუა (თბილისი), თ. ახატურიანი (სამტრედია).

გააფრთხილეს გ. სუხიაშვილი.

მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების მქონე სამტრედიის გუნდი წლევანდელ საფეხბურთო სეზონში მეტად სავალალო მდგომარეობაშია. არასახარბიელო სტარტმა თავი იჩინა საგაზაფხულო ჩემპიონატის ფინიშთან და „სანავარდო“ აუტსაიდერთა რიგებში აღმოჩნდა. გულშემატკივრებიც პესიმისტურად განეწყვნენ თავიანთი გუნდის მიმართ და 15-ათასიან სტადიონზე მხოლოდ ორმა ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

„სანავარდოს“ წლეულს მეტად მოკლე სათადარიგო სკამი აქვს: მატჩის განაცხადში მათ მხოლოდ 13 ფეხბურთელი ჰყავდათ შეყვანილი.

შეხვედრის პირველი ნახევარი სამტრედიელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ უამრავი საგოლე მომენტიდან მათ ვერც ერთის გამოყენება ვერ შეძლეს. მე-10 და 35-ე წუთებზე ლორთქიფანიძისა და ბრეგვაძის უძლიერესი დარტყმები მეკარე თევზაძემ გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე.

მეორე ტაიმში სამტრედიელებს დაღლილობა დაეტყოთ, ქუთაისელები კი შეტევაზე გადავიდნენ. 53-ე წუთზე სუხიაშვილმა მაღალი ბურთი „ჩაკიდა“ მასპინძელთა საჯარიმოში, აქ ყველას დაასწრო ხუნდაძემ და შეუჩერებლად დაარტყა კარში — 1:0

81-ე წუთზე ჯანაშიას ჰქონდა ანგარიშის გაზრდის შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენა იგი.

მურთაზ პირველაშვილი,
„ლელოს“ კორ.

„შევარდენი-1906“ (თბილისი). — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 3:1 (1:1).

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 3 ივნისი.

„შევარდენი-1906“ გვენცაძე, ელიაშვილი, ნადარეიშვილი, ჩადუნელი, მენთეშაშვილი, კოპალეიშვილი, ლიპარტელიანი (ზეიკიძე), შალამბერიძე, ტარტარაშვილი, ქობელაშვილი, მინაშვილი.

„მარგვეთი“: დევაძე, ტოგონიძე, ლონდაძე, ხუჯაძე, ლაცაბიძე, გაბრიჭიძე (წითელაშვილი), ინიაშევი (ფოცხვერაშვილი), ავრამიდისი, კერძევაძე, კიკნაძე, ჯულელი.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ნ. კილაძე (თბილისი), თ. მაჭარაძე (ხონი).

გააფრთხილეს: ო. ავრამიდისი, კ. კოპალეიშვილი.

მატჩი სანახაობრივად საინტერესო გამოდგა. თამაში სტუმრების იერიშებით დაიწყო და უკვე მე-2 წუთზე მათი შეტევა „შევარდენის“ კარის აღებით დამთავრდა — ავრამიდისის დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა. ამ გოლის შემდეგ სტუმრები უფრო გააქტიურდნენ და რამდენჯერმე მიეცათ ანგარიშის გაზრდის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ ბოლო მომენტში ან არაზუსტად ურტყამდნენ, ან თბილისელთა მეკარე გვენცაძე თამაშობდა კარგად. თავის მხრივ, მასპინძლებიც კონტრშეტევებით პასუხობდნენ მეტოქეს. 35-ე წუთზე ელიაშვილ-მინაშვილის კომბინაცია დამთავრდა იმით, რომ ამ უკანასკნელმა მოატყუა მეკარე და ბურთი შალამბერიძეს გადააწოდა, რომელმაც ცარიელ კარში გაგზავნა იგი — 1:1. ექვსი წუთის შემდეგ ზესტაფონელებს მიეცათ კარის აღების კარგი შესაძლებლობა — ხუჯაძის დარტყმა თბილისელთა მეკარემ უხერხულად მოიგერია, ბურთს დაეუფლა ავრამიდისი, მაგრამ ამ ეპიზოდშიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა „შევარდენის“ კარის დარაჯი.

მეორე ნახევარში თამაშმა უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. 59-ე წუთზე თბილისელებმა იერიში წამოიწყეს მარცხენა ფლანგიდან, შალამბერიძემ ბურთი ოსტატურად „ჩაკიდა“ სტუმართა საჯარიმოში, აქ კი ყველას დაასწრო ქობელაშვილმა და მეორედ აიღო მეკარე დევაძის კარი.

მე-80 წუთზე მინაშვილმა ზუსტად ითამაშა „მარგვეთის“ კარის სიახლოვეს და ლამაზი ბურთი გაიტანა, დარჩენილ დროში როგორც მასპინძლებს, ასევე სტუმრებს, ჰქონდათ კარის აღების რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა — 3:1.

რამინ ყურაშვილი

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:1 (0:1).

წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 3 ივნისი.

„სამგურალი“: მიქაძე, მუშკუდიანი (იონანიძე), გოგელიძე, ხურცილავა, ვ. ფეხტვენიძე, ჰ. იობიძე, რ. იობიძე, ცნობილაძე, სიჭინავა, ჰელიძე, ბაბუნიძე, ხარაბაძე,

„გურია“: ქანთარია, ტყებუჩავა, გუჯაბიძე, დანელია, აფციაური, ცომაია, მიქაბერიძე, მეგრელაძე, (კვინტრაძე), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე (კაბისაშვილი).

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი), ი. მექერიშვილი (გურჯაანი); ზ. ტეხოვი (წყალტუბო).

გააფრთხილეს გ. ტყებუჩავა.

ამ დღეს ორივე გუნდმა საინტერესოდ ითამაშა, თუ არ ჩავთვლით შეხვედრის ბოლო წუთებს, როდესაც ზოგ მოთამაშეს ნერვებმა უმტყუნა და ერთ შემთხვევაში მსაჯმა ტყებუჩავას ყვითელი ბარათიც აჩვენა.

გამოცდილმა სტუმრებმა მატჩის დასაწყისშივე გახსნეს ანგარიში — კორღალიძემ მე-3 წუთზე დააწინაურა თავისი გუნდი. ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა, მაგრამ აქაც ჩანდა ვიცე-ჩემპიონის უპირატესობა.

„გურიამ“ პირველივე ტაიმში რამდენიმე სახიფათო მომენტი ვერ გამოიყენა: ახლოს იყო, მაგალითად, მიზანთან მეგრელაძე, მაგრამ იმარჯვა „სამგურალის“ კარის დარაჯმა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა ტემპს უმატეს. ზ. იონანიძეს ჰქონდა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ მისი დარტყმა არაზუსტი გამოდგა. სტუმრებმა კონტრშეტევებზე ააგეს თამაში. შეხვედრის ბოლოს კი „გურია“ მთლიანად თავისი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდა და შეძლო კიდეც მორიგი 3 ქულის მოპოვება.

„სამგურალი“ წლევანდელ გათამაშებაში პირველად დამარცხდა თავის მინდორზე.

ომარ შუმბურიძე,
„ლელოს“ კორ.

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სულორი“ (ვანი) 3:0 (0:0)

გალი. ცენტრალური სტადიონი. 3 ივნისი.

„ამირანი“: კოპალიანი, ახვლედიანი, ძალამიძე, დოჩია, ჩხვირკია, შიროკი, ლურწკაია, აფენდოპულო, ქობალია (გუჩუა), გაბისონია, პაპასკირი.

„სულორი“: კიკალეიშვილი, კანკაძე, გ. ვერულაშვილი, არველაძე, ძაგნიძე, ნ. დვალიშვილი, პაიკიძე, გიზო ბრეგვაძე, ხურცილავა, ჯ. ვერულაშვილი, გოჩა ბრეგვაძე.

მსაჯები: ჯ. წერეთელი (რუსთავი), ზ. ლაცაბიძე (თბილისი), ა. ლორია (გალი).

გააფრთხილეს: რ. კანკაძე, გ. გაბისონია.

IX ტური

„დილა“ (გორი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 0:1 (0:0)

გორი. ცენტრალური სტადიონი. 25 მაისი.

„დილა“: პანტურია, კონდრატიევი, გაგნიძე, წიკლაური, მიქელაძე, შავდათუაშვილი, მარეხაშვილი, მიხანაშვილი, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, ნეფარიძე.

„მარგვეთი“: დევაძე, ტოგონიძე, მაჩიელიძე, ხუჯაძე, ლონდაძე, გაბრიჭიძე, ინიაშევი, ფოცხვერაშვილი, ჯულელი, კიკნაძე (რომელაშვილი), კერძევაძე (ავრამიდისი).

მსაჯები: ხ. კვარაცხელია, გ. კალანდია (ორივე — ზუგდიდი), მ. ჯულაყიძე (სამტრედია).

გოლი: ინიაშევი.

გააფრთხილეს: კ. წიკლაური, დ. ნეფარიძე.

XIV ტური

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:0 (0:0)

გურჯაანი. ცენტრალური სტადიონი. 30 მაისი.

„ალაზანი“: ქუნიაშვილი, შუბითიძე, კევლიშვილი, ლობჟანიძე, ძნელაძე, ხანადირაძე, ბაწაშვილი (პოზოიანი), ზაალიშვილი, ხოლოდაშვილი, სპანდერაშვილი, კობახიძე.

„ამირანი“: კოპალიანი, ახვლედიანი, ძალამიძე, დოჩია, ჩხვირკია, შიროკი, ზ. ლურწკაია, გომონოვი, ქობალია, გაბისონია (გუჩუა), პაპასკირი (აფენდოპულო).

მსაჯები: ლ. ჩიტაია, გ. ხერხეულიძე... ხეჩუაშვილი, დ. თოდუა (სამივე — თბილისი).

გოლი: კობახიძე.

„ბათუმი“ (ბათუმი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 1:0 (0:0)

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 30 მაისი.

„ბათუმი“: ბალაძე, მუჯირი, მჭედლიშვილი, დურდიაძე, შეყილაძე, ზედანია, მახარაძე, შანიძე, ნახუცრიშვილი, თ. ტულეში, კიურჩიევი.

„მერცხალი“: დუმბაძე, ცერცვაძე, მეავანაძე, ხამაშურიძე, გ. ტულეში, წივწივაძე (ჩხაიძე), კაშია, ავალიანი, ჩიგოგიძე, ბარამიძე, კალანდაძე.

მსაჯები: გ. კალანდია, ხ. კვარაცხელია (ორივე — ზუგდიდი), მ. ჯულაყიძე (სამტრედია).

გოლი: კიურჩიევი.

გააფრთხილეს: გ. მჭედლიშვილი, გ. ჩიგოგიძე.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იბერია“ (თბილისი)	14	11	3	0	34-4	36
„გურია“ (ლანჩხუთი)	14	9	4	1	21-10	31
„ბათუმი“ (ბათუმი)	14	8	2	4	20-15	26
„ოდიში“ (ზუგდიდი)	14	7	2	5	25-16	23
„ცხუმი“ (სოხუმი)	14	7	2	5	24-16	23
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	14	7	2	5	22-15	23
„ქუთაისი“ (ქუთაისი)	14	7	2	5	22-23	23
„გორდა“ (რუსთავი)	14	6	3	5	24-15	21
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	13	6	2	5	18-18	20
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	14	5	3	6	25-19	18
„დილა“ (გორი)	14	5	3	6	21-22	18
„სამგურალი“ (წყალტუბო)	13	5	2	6	12-15	17
„მერცხალი“ (ოზურგეთი)	14	5	1	8	13-20	16
„ალაზანი“ (გურჯაანი)	14	5	1	8	14-25	16
„კოლხეთი“ (ხობი)	14	4	3	7	17-18	15
„სულორი“ (ვანი)	14	4	3	7	19-25	15
„მზიური“ (გალი)	14	4	3	7	13-20	15
„ამირანი“ (ოჩამჩირე)	14	3	4	7	16-22	13
„სანავარდო“ (სამტრედია)	14	3	3	8	12-32	12
„ივერია“ (ხაშური)	14	3	2	9	7-28	11

ემანსიპაცია

თავი მოაწონეს...

ქალთა ფეხბურთს ჯერაც ეჭვის თვალით უყურებენ ჩვენში, თუმცა, ამბავს, ახლა რომ გიამბობთ, შეუძლია თქვენი ეჭვების გაფანტვა. არა, ის რა სადავოა, რომ ქალმა ქალურობა და სინაზე არ უნდა დაკარგოს, „თავისი“ საქმე აკეთოს და ოჯახში იდიასახლისოს. მაგრამ ფეხბურთის მეშვეობით სუსტი სქესის წარმომადგენლებსაც რომ შეუძლიათ ევროპულ სარბიელზე საქართველოს სახელის გატანა, ამაში სწორედ ეს ამბავი დაგარწმუნებთ.

ახლახან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მიწვევა მოვიდა, თბილისის ქალთა საფეხბურთო კლუბ „მეტეხს“ ჰოლანდიაში ეპატიჟებოდნენ ამ ქვეყნის ქალთა საფეხბურთო გუნდის „ვესტზაანის“ ოცი წლის იუბილისადმი მიძღვნილ ტურნირზე. წინადადება მაცდუნებელი იყო და „მეტეხიც“ ჰოლანდიას გაემგზავრა.

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ აღვნიშნავთ: ამგვარ ტურნირებში მონაწილეობით, „ცენტრის“ მიერ ხელოვნურად შექმნილი იზოლაციის პირობებში, მათი ბიუროკრატიული აპარატი თანდათან შეეგუება ჩვენზე ძალაუფლების დაკარგვას და მისთვის ჩვეული ბარიერების აღმართვის სურვილიც აღარ ექნება.

ერთი სიტყვით, ჩვენი ქალები ჰოლანდიაში ჩავიდნენ, სადაც ორ ბლიცტურნირში მიიღეს მონაწილეობა. შეჯიბრებაში მათთან ერთად იასპარეზეს აღიარებული საფეხბურთო ქვეყნების — ჰოლანდიისა და იტალიის გუნდებმა. სწორედ ასეთ ძლიერ კომპანიაში „მეტეხმა“ ორივე ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა. შეჯიბრება ორ დღეში დასრულდა. მატჩების ხანგრძლივობა 12 წუთი იყო. პირველ დღეს თბილისელებმა იუბილარი გუნდი „ვესტზაანი“ დაამარცხეს — 1:0, ს. დ.ო.ო-ს სძლიეს 2:0, ფრედ — 0:0 დაამთავრეს შეხვედრები „იდუნასთან“ და ს.დ.ო.ბ-თან და მინიმალური ანგარიშით — 0:1 დათმეს მატჩი „სტენვიეკთან“. — მეორე დღემ დაუმარცხებლად ჩაიარა. „მეტეხმა“ ჯერ ს.ვ.ო.ვ-ს მოუგო 2:0, ამავე ანგარიშით შემდეგ ფ.კ. „ორიონ-86“-ს“ სძლია და ფრედ (0:0) დაასრულა თამაშები „ვესტზაანთან“, „ბრაბანტიასთან“ და „დოგოსთან“, საბოლოო ჯამში კი მეორე ადგილზე გავიდა.

ვესაუბრეთ გუნდის მთავარ მწვრთნელს ოთარ ნათაძეს.

● **ვიდრე უშუალოდ ტურნირზე გვეტყოდეთ, გვითხარით, როგორ მოახერხეთ ჰოლანდიაში გამგზავრება. რა თქმა უნდა, ფინანსური მხარე გვაინტერესებს.**

— სპონსორობა კომერციულმა ფირმამ „სინათლის ტაძარმა“ გაგვიწია, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ ფირმის პრეზიდენტს — დიმიტრი ყირმელაშვილს. გუნდთან ერთად დელეგაციაში იყვნენ: მწვრთნელი თემურ თვალჭრელიძე, გუნდის უფროსი თენგიზ ღოღობერიძე, ქალთა ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე მურმან გიორგაძე. დელეგაციას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელი ილია მჭედლიშვილი ხელმძღვანელობდა. ვფიქრობ, არ გაგვიწბილებია ჩვენი ქომაგები. აქვე მინდა სურვილი გამოვთქვა — იქნებ რომელიმე ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ ითავოს ჩვენი შეფობა და ფინანსურად დაგვეხმაროს, ჩვენ კი მსგავსი პრიზებით გავახარებთ.

● **მასპინძლებმა როგორ მიგიღეს? თუ იცოდნენ, რომ თქვენ არა საბჭოეთიდან, არამედ, საქართველოდან იყავით?**

— როგორ არ იცოდნენ. აეროდრომზეც კი საქართველოს ეროვნული დროშით დაგვხვდნენ. ტურნირზეც ჩვენი დროშა ცალკე იყო აღმართული. ჰოლანდიელები გულთბილი ხალხია, კარგად გვიმასპინძლეს, დაგვათვალიერებინეს ამსტერდამი და სხვა ქალაქები.

● **მეორე ადგილი საპატიოა, მით უმეტეს, რომ პირველად მონაწილეობდით ასეთ პრესტიჟულ ტურნირში. მაინც უნდა გკითხოთ, თუ შეგეძლოთ პირველი ადგილის დაკავება?**

— თითქმის არც ერთი გუნდისთვის ტოლი არ დაგვიდვია. მეტნაკლებად ძლიერი ჰოლანდიის „სტენვიეკი“ იყო. საერთოდ, გამოუცდელობამ და სათამაშო დროის სიმცირემ თავისი ქნა და, თუმცა ყოველ მატჩში აშკარად გამოხატული ტერიტორიული უპირატესობა გვქონდა, პირველი ადგილი მაინც მიუღწეველი აღმოჩნდა ჩვენთვის.

● **ჩვენი გოგოებიდან ვის გამოარჩევდით?**

— მართლაც რომ თავი არ დაუზოგავთ გუნდის კაპიტანს ნანა გელბახიანს, ეკა შეშაბერიძეს, მაყვალა ამზოევასა და ნუნუ სალდაძეს.

● **გულშემატკივარს რითი დაამახსოვრეთ თავი?**

— ლამაზი, შემტევი თამაშით, რისი წყალობითაც რამდენიმე მიწვევა მივიღეთ. კერძოდ, გაისად რომში გავმართავთ ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებს, წელს კი, ზაფხულსა და შემოდგომაზე, ფინეთსა და ისრაელში გველიან.

ესაუბრა მიხეილ აბაიშვილი.

სურათებზე: თბილისის ქალთა საფეხბურთო კლუბ „მეტეხის“ გუნდი; შეჯიბრების მომენტი.

პრეზიდენტი გყავთ? მაშინ უფლება გაქვთ ისპარეზოთ თქვენი ქვეყნის სახელით

(დასასრული)

ვა), საქართველო, სომხეთი... არ გვითქვამს — შეჯიბრება ჩატარდა ქალაქ ლივორნოში — იტალიის ჩრდილოეთში.

● **რა წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენს გუნდზე, თავიდან გთვლიდნენ თუ არა ღირსეულ მეტოქედ?**

— ბევრმა საერთოდ არ იცოდა, ვინ ვიყავით, საიდან ვიყავით, აქედან გამომდინარე, არც ქართულ სპორტზე ჰქონდათ წარმოდგენა, როცა ცნობილ ქართველ სპორტსმენებს ვუსახელებდით, უკვირდათ, ჩვენ ყველას რუსად ვიცნობთო.

● **საქართველოს სახელით გამოსვლასთან დაკავშირებით, რაიმე პრობლემა ხომ არ შეგხვდათ?**

— რამდენიც გინდათ: ეროვნულ დროშას არ გვაკიდინებდნენ, საბჭოთა ნაკრებად მოისურვეს ჩვენი წარდგენა, როგორც მაყურებლის წინაშე, ისე სამსაჯო ოქმებში. დავა გამოიწვია აგრეთვე ეროვნული მაისურით ასპარეზობამ... ყველას ვუხსნიდით, რომ ვართ საქართველოდან და აღარ შევდივართ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ერთმა ირონიითაც გვითხრა — იქნებ პრეზიდენტიც გყავთო. რა თქმა უნდა, გვყავს, მივუგეთ. არ ვთმობდით, არც მათ სურდათ დათმობა. ტელექსიც ჩავრიეთ საქმეში. ბოლოს მთავარმა მსაჯმა გვიხსნა — ამ განათლებულმა კაცმა ოფიციალურად დაადასტურა ჩვენი დამოუკიდებლობა, ისიც დასძინა — ამ ქვეყანას საკუთარი პრეზიდენტი ჰყავსო და დაასახელა კიდეც ზვიად გამსახურდია. სამწუხაროდ, სომხებმა ვერ გაიტანეს თავისი. თქვენც გყავთ პრეზიდენტიო — ჰკითხეს. ხომ ვერ იცრუებდნენ. ე. ი. თქვენი პრეზიდენტი გორბაჩოვიაო— უთხრეს. რას იზამდნენ — ჩვენი მეზობლები ამ ტურნირში სსრ კავშირის სახელით გამოვიდნენ. სომხეთის გუნდი სუსტი იყო და მალე გამოეთიშა ტურნირს, შემდეგ კი, ჩვენი თხოვნით, ვინაიდან ფავორიტად გვაღიარეს და ანგარიშს გვიწევდნენ, სომხები ტურნირზე ბოლომდე დატოვეს, როგორც ტურისტები.

● **გამოდის, რომ ჩვენმა ჩოგბურთელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს...**

— ძალიან კარგი. იქვე მივიღეთ ახალი მიწვევა ქალაქ ფლორინში და მეორე ტურნირშიც ვიასპარეზეთ.

● **ლივორნოში როგორი შედეგით დაამთავრეთ ტურნირი?**

— იქ ახალი ნამგზავრები ჩავერთეთ შეჯიბრებაში. ლევან გელაშვილი რვა უძლიერესში მოხვდა. ნინო ლუარსაბიშვილმა წყვილებში ფინალი ითამაშა მოროზოვას შეგირდთან ერთად.

● **ფლორინში რა ტურნირი იყო?**

— იგივე კატეგორიის, იმავე ქვეყნების სპორტსმენთა მონაწილეობით.

● **შედეგები?**

— გელაშვილი ჩემპიონი გახდა, მიიღო ვერცხლის თასი და სამასი დოლარი. მანვე, როგორც ტურნირის ყველაზე ტექნიკურმა ჩოგბურთელმა, ჯილდოდ მიიღო საგანგებო თასი — თანაც პირადად ფლორინის კლუბის პრეზიდენტის ხელით. პრეზიდენტმა გელაშვილი პერსონალურად მიიწვია საგაისო ტურნირში.

ლუარსაბიშვილიც ჩემპიონი გახდა. ეს იყო ქართული ფინალი, მისი მეტოქე მანაგაძე გახლდათ. ფულადი ჯილდოები მათაც გადაეცათ.

● **უახლოესი გეგმები...**

— დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მალე ვიასპარეზებთ პალერმოში იმავე გუნდით, ოღონდ ამჯერად მწვრთნელი იქნება ნიკოლოზ ელერდაშვილი.

მარცხნიდან: გუნდის უფროსი მწვრთნელი გიორგი ლარიბაშვილი, ნინო ლუარსაბიშვილი, ლევან გელაშვილი, სოფიკო მანაგაძე და ჯგუფის ხელმძღვანელი ტრისტან გელაშვილი. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

უეფა — უახლოესი მომავლის გეგმები

საფეხბურთო ევროპა ჯერ კიდევ კონტინენტის საკლუბო ტურნირების ფინალურ შეხვედრათა შთაბეჭდილებითაა აღსავსე. ზეიმობენ იუგოსლავიური, ინგლისური და იტალიური კლუბები, მათი გულშემატკივრები, ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი კი ახალი შეჯიბრებებისთვის სამზადისს შეუდგა. გამოქვეყნდა ევროპის საკლუბო თასების 1991-92 წლების გათამაშებათა განრიგი.

11 ივლისს ჟენევაში მოეწყობა სამივე თასის წილისყრა. პირველი ეტაპის მატჩები გაიმართება 18 სექტემბერს და 2 ოქტომბერს. მეორე ეტაპისა — 23 ოქტომბერს და 6 ნოემბერს, ხოლო 27 ნოემბერს და 11 დეკემბერს ჩატარდება უეფა-ს თასის მერვედფინალური შეხვედრები. რაც შეეხება ჩემპიონთა თასს, აქ სიახლეა. ახალი რეგლამენტით შეიქმნება ორი ნახევარფინალური ჯგუფი თითოეული 4 გუნდის შემადგენლობით და წრიული წესით გაგრძელდება ტურნირი მთავარი პრიზის მოსაპოვებლად.

1992 წლის 4 და 18 მარტს თასების მფლობელთა თასზე და უეფა-ს თასზე მოეწყობა ნახევარფინალური შეხვედრები, ჩემპიონთა თასზე კი გაგრძელდება მატჩები ნახევარფინალურ ოთხეულებში, 1 და 15 აპრილს გაიმართება თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის ნახევარფინალები, ხოლო ჩემპიონთა თასის ნახევარფინალურ ჯგუფებში გამოვლინდებიან გამარჯვებულნი.

განისაზღვრა ფინალურ შეხვედრათა ჩატარების დღეებიც: 20 მაისს შედგება ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი, 6 მაისს — თასების მფლობელთა თასისა, ხოლო 29 აპრილს და 13 მაისს ერთმანეთს შეხვდებიან უეფა-ს თასის ფინალისტები.

საგანგებო ყურადღებას იპყრობს ჩემპიონთა თასის ახალი ფორმულა. ვინაიდან ნახევარფინალების მონაწილე 8 უძლიერესი გუნდი მეტ შეხვედრას ჩაატარებს და მოგებასაც მეტს მიიღებს, უეფა-მ გადაწყვიტა დაუკავოს მათ რეკლამისა და სატელევიზიო გადაცემათა შემოსავლის თანხის 25 პროცენტი და ეს ფული გაუნაწილოს იმ კლუბებს, რომლებიც ადრეულ სტადიებზე გამოეთიშებიან შეჯიბრებას.

რა ისმის უცხოეთიდან?

გამარჯვება სტუმრად დიდი ფორაა!

როგორც ვიუწყებოდით, ნბა-ს (კალათბურთის ეროვნული ასოციაცია) ჩემპიონატის ფინალური სერიის პირველი მატჩი „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ სტუმრად მოუგო „ჩიკაგო ბულსს“ — 93:91. ჯერ ამ შეხვედრის მოკლე ტექნიკურ ანგარიშს გაგაცნობთ, მერე კი უფრო დეტალურად საკვანძო მომენტებზე ვისაუბროთ.

„ლეიკერსი“: სემ პერკინსი (22), ჯეიმს უორთი (22), „მეჯიკ“ ჯონსონი (19), ვლადე დივაცი (16)...



„ჩიკაგო“: მაიკლ ჯორდანი (36), სკოტ პიპენი (19), ბილ კარტრაიტი (6), ჰორას გრანტი (6), ჯონ პაქსონი (6).

მარტო ამ მონაცემების შედარებით ჩანს, რომ „ჩიკაგოში“, ფაქტობრივად, მხოლოდ მაიკლ ჯორდანს უთამაშია. ეს, სხვათა შორის, მეორე დღეს გაზეთებმაც აღნიშნეს: „მაიკლ ჯორდანმა სისხლი გაუშრო მეჯიკს, მაგრამ თამაშის გადარჩენა მაინც ვერ შეძლო“. ასეთი იყო მეორე დღეს ჩიკაგოს გაზეთებში დაბეჭდილი ყველა რეცენზიის დედაზრი.

არადა, მატჩის მასპინძლებს სერიოზულად თითქოს არაფერი ემუქრებოდათ. მეოთხე პერიოდის წინ „ჩიკაგოს“ ანგარიში მიჰყავდა 7 ქულით. საფინალო სირენამდე 2 წუთით და 37 წამით ადრე ანგარიში იყო 89:86 „ჩიკაგოს“ სასარგებლოდ. პერკინსმა გაათანაბრა ანგარიში — 89:89. სკოტ პიპენმა კი ამ მატჩში უკანასკნელად დააწინაურა თავისი გუნდი 91:89 (ამ დროს ჯერ კიდევ 69 წამი იყო დარჩენილი). 47 წამი აკლდა ბრძოლის დამთავრებას, როცა დივაცის სროლა ასცდა მიზანს. 14 წამით ადრე სემ პერკინსმა ფანტასტიკური სამქულიანი სროლა განახორციელა და „ლეიკერსი“ დაწინაურდა 2 ქულით — 93:91. მაშინვე ჯორდანმა საპასუხო „სამქულიანი“ გაგზავნა მეტოქის კალათისკენ, ბურთმა კარგა ხანს იტრიალა კალათის თავზე, მაგრამ „ჩასვლა არ ისურვა“. მას ბარონ სკოტ დაეუფლა და... დროც დამთავრდა.

„მეჯიკ“ ჯონსონი: „მაიკლის ბოლო სროლის დროს სუნთქვა შემეკრა, ისე ზუსტად მიდიოდა ბურთი კალათისაკენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ დღის განწირულები არ ვყოფილვართ“.

მაიკლ დანლივი („ლეიკერსის“ მწვრთნელი). „პერკინსის სროლა, რომელმაც ფაქტობრივად გამარჯვება მოგვიტანა, ორ ვარიანტად გვქონდა გათვალისწინებული (შესაბამისად სამ ან ორ-ქულიან სროლებად). არჩევანი თავად პერკინსს უნდა გაეკეთებინა. კარგია, რომ მან სამქულიანი სროლის ვარიანტი აირჩია“.

მაიკლ ჯორდანი: „პირველი ფინალური მატჩის ტრაგედია ის გახლავთ, რომ შინ დავმარცხდით, მაგრამ ქვეყანა ამით არ დაქცეულა. ჯერ ერთი შეხვედრით მოგება ლოს-ანჯელესში და ყველაფერი გამოსწორდება“.

შეგახსენებთ, რომ მეორე შეხვედრა მოთამაშეებმა გუშინ ჩაატარეს ისევ ჩიკაგოში. მერე ზედიზედ სამი შეხვედრა ლოს-ანჯელესში შედგება, ბოლო ორი მატჩი (თუ რა თქმა უნდა, მანამდე არ დამთავრდა სერია), რომლებშიც ნბა-ს წლევანდელი ჩემპიონი უნდა დაისახელოს, ისევ ჩიკაგოში გაიმართება.

ინფორმაცია

რუმინეთის ქალაქ მამაიამში დამთავრდა 12 და 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა ევროპის ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქუთაისელი სოფიკო ტყეშელაშვილი და თბილისელი მაია ლომინეიშვილი. ორივემ პირველი ადგილი დაისაკუთრა. ამ წარმატებით ქართველმა გოგოებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს.

მძლეოსნობის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რომ ყოველ მხტომელს აქვს სანუკვარი ოცნება — რვამეტრიანი ზღვარის დაძლევა. „მართვეს“ აღზრდილმა მარკ მალისოვმაც ეს შედეგი დაისახა მიზნად და თითქმის მზადაც იყო მის დასალაშქრავად, მაგრამ ბოტკინის დაავადება შეეყარა. მხოლოდ წელს განაახლა ვარჯიში, გაზაფხულზე კი ჩვეული სპორტული ფორმაც აღიდგინა. ახლახან თბილისელმა სპორტსმენმა სოჭის სარბიელზე იასპარეზა რუსეთის ფედერაციის მძლეოსანთა თასის ღია გათამაშებაში, 7 მეტრსა და 61 სანტიმეტრზე გადახტა — II საპრიზო ადგილი დაიკავა (მწვრთნელი იური დულიანი). მ. მალისოვმა უკან ჩამოიტოვა საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორები: ს. ზაზერსკი, ს. ტარასენკო, მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის მონაწილე ვ. ეგოროვი.

ოცნება 8 მეტრიანი ზღვრის გადალახვაზე გრძელდება.

სურათზე: მარკ მალისოვი.

სატურნირო ლაფსუსები

მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა რეიტინგი შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე იცვლება. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის დღეებში უძლიერეს ქალთა სამეული გამოიყურებოდა ასე: მონიკა სელეში (იუგოსლავია) — 2445 ქულა, გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — 2290 და შტეფი გრაფი (გერმანია) — 1860. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. „როლან გაროსის“ (საფრანგეთის ღია ჩემპიონატს, სხვაგვარად, ასეც უწოდებენ) დამთავრების შემდეგ სამეულში უსათუოდ მოხდება გადახალისება, რომელიმე ფავორიტის სასარგებლოდ, გრაფს, მაგალითად, პირველ ადგილზე გასასვლელად ჰყოფნის არა მარტო გამარჯვება ჩემპიონატში, არამედ ფინალში მონაწილეობაც, ოღონდ უსათუოდ საბატინისთან (და არა სელეშთან). ასევე თავისი შანსები აქვს სელეშს, საბატინის...

მაღალი რეიტინგის მქონე ჩოგბურთელები ჯერჯერობით დაჯერებულად მიიწევენ წინ, ვინაიდან შედარებით სუსტ მეტოქეებს ხვდებიან. მაგრამ ზოგჯერ ხდება „სატურნირო ლაფსუსებიც“. ყველაფრის გათვალისწინება, ცხადია, ძნელია, სწორედ ასეთი ლაფსუსის ბრალი იყო, რომ მერვედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლელა მესხი (№ 14 ჩოგბურთელი რეიტინგით) და ჩეხოსლოვაკიელი იანა ნოვოტნა (№ 6), ან კიდევ ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი (№ 10) და ესპანელი კონჩიტა მარტინესი (№ 7).

მარტინესმა შეჯიბრებიდან გამოთიშა ჯერ კიდევ ნორჩი კაპრიატი და მეოთხედფინალში სელეშთან თამაშის უფლება მოიპოვა. ლელამ ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან სუსტად ჩაატარა პირველი პარტია (0:6). მეორეში იგი ახლოს იყო წარმატებასთან, მაგრამ უმძიმეს ბრძოლაში ბოლოს მაინც დათმო ხელი — 6:7.

ჩემპიონატის პირველი კვირა გავიდა ისე, რომ არ გაავდრებულა. ამან სათამაშო მოედანი უფრო მკვრივი და „სწრაფი“ გახადა, რაც ერთი-ორად ზრდის შემტევი სტილის ჩოგბურთელთა (ბორის ბეკერი, სტეფან ედბერგი და სხვ.) წარმატების შანსებს.

ოთხი წელია, რაც დაწესდა ყველაზე პერსპექტიული ჩოგბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი. ჯილდოს მფლობელს ჟურნალისტებისა და სპეციალისტებისაგან შერჩეული ჟიური ასახელებს. 1988 წელს პრიზი ამერიკელმა მაიკლ ჩანგმა მიიღო. 1989 წელს ჯილდოს ლაურეატი გახდა 15 წლის მონიკა სელეში (იუგოსლავია). შარშან კი ჟიურის სიმპათია ფრანგმა ფაბრის სანტორომ დაიმსახურა. წლეულს საფრანგეთის ღია ჩემპიონატის დღეებში პრიზი გერმანელ ქალიშვილს ანკე ჰუბერს გადასცეს, რომელსაც, როგორც ჩანს, სამართლიანად მიიჩნევენ შტეფი გრაფის ღირსეულ მემკვიდრედ. ჰუბერი „როლან გაროსის“ ტურნირს მესამე წრის შემდეგ გამოეთიშა, მაგრამ თვრამეტ უძლიერეს ჩოგბურთელში მოხვედრა უკვე თავისთავად დიდი წარმატებაა.

გამოვლინდა ვაჟთა ტურნირის პირველი ნახევარფინალისტი. ეს გახლავთ ამერიკელი ანდრე აგასი, რომელმაც სულ რაღაც 75 წუთში „გაანადგურა“ შვეიცარიელი იაკობ ჰლასეკი — 6:3, 6:1, 6:1. საინტერესოა, რომ, 21 წლის აგასი შარშან „როლან გაროსის“ ფინალში გავიდა, სადაც პირველობა ეკვადორელ ანდრეს გომესს დაუთმო.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჰიჰინაძე, კორექტორები მ. ძეძამიძე, ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
ხაზდგენი — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის სტამბა, [illegible] 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. [illegible] კოსტავას, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20